სამართლებრივი დასკვნა

სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2026-2027 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ - განკარგულების პროექტის შესახებ

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძველია ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის N96 დადგენილება, რომლითაც განსაზღვრულია პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები.

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსი: *ბექა შენგელია*